საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული



ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული (4. I. 1894, ვარშავა, – 31. X. 1976, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში (ნ. ნიკოლაევის საფორტეპიანო და ტ. გარტმანის საკომპოზიციო კლასები). 1927 დაამთავრა პარიზის კონსერვატორია (პ. ვიდალის საკომპოზიციო კლასი). 1926–33 თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან (1929-მდე – ქუთაისის დრამ. თეატრში, 1929–33 იყო თბილ. მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრში სამუსიკო ნაწილის გამგე). 1933–71 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში. მუშაობდა ძირითადად ბალეტისა და პანტომიმის ჟანრში. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ვ-ის ერთაქტიანი ბალეტები (ჟანრის პირველი ნიმუშები ქართ. მუსიკაში) – „ბახუსის დღესასწაული” (1919), „სიყვარულის ბანგი” (1920), „სპარტაკი” (1937, ქართ. ბალეტის შექმნის პირველი ცდები); პანტომიმები – „ირანული პანტომიმა” (1914), „მზეთამზე” (1929), „ხანძარი” (1930, დაიდგა მოსკოვში, ხარკოვსა და ქუთაისში); ვ-ს ეკუთვნის მუს. კომედია „დონ ჰილი – მწვანე შარვალი” და სხვ., აგრეთვე კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრის თანხლებით (3 ნაწილად), კანტატა, რომანსები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის („ცხვრის წყარო”, „ურიელ აკოსტა” – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში; „ვერაგობა და სიყვარული” – მოსკ. მცირე თეატრში და სხვ.). ავტორია წიგნისა „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან” (1976, რუს. ენაზე).

გ. ტორაძე